საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 02/2993
09/07/2025

2993-01-2-202507091642

თინათინ მაჩურიძეს

მის: ქ. თბილისი

ელ.ფოსტა:

ტელ.

ქალბატონო თინათინ,

როგორც თქვენთვის ცნობილია, „მოქალაქე თინათინ მაჩურიძის განცხადების საფუძველზე საქმის შესწავლის დაწყების თაობაზე“ სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) თავმჯდომარის 2025 წლის 25 აპრილის N 04/414 ბრძანების თანახმად, სააგენტომ დაიწყო საქმის შესწავლა მოვაჭრის შპს „მაიფონს.ჯის“ (ს/ნ: 400338149) (შემდგომში - მოვაჭრე) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაძლო დარღვევის თაობაზე.

აღნიშნულთან დაკავშირებით, შპს „მაიფონს.ჯის“ მიერ წარმოდგენილი იქნა 2025 წლის 9 ივლისის №01/4082 წერილი, რომლის მიხედვითაც, მოვაჭრე გამოთქვამს მზაობას, მობილურ ტელეფონს ჩაუტაროს საექსპერტო შემოწმება თავდაპირველ ნაკლთან მიმართებით. აღნიშნულისთვის, ის ითხოვს ნივთის გადაცემას. ყოველივე ზემოთთქმულის შესაბამისად, ნივთის ნაკლის იდენტიფიცირებისა და სააგენტოს მიერ საქმის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, გთხოვთ, **5 სამუშაო დღის** ვადაში უზრუნველყოთ სადავო ნივთის მოვაჭრისათვის გადაცემა.

დანართის სახით გიგზავნით შპს „მაიფონს.ჯის“ მიერ წარმოდგენილი 2025 წლის 9 ივლისის №01/4082 წერილის ასლს.

დანართი: „1“ ფურცელი.

პატივისცემით,

დ. აღმაშენებლის გამზირი 154,
0102 თბილისი, საქართველო
15 20
info@gcca.gov.ge
www.gcca.gov.ge

ამათი ამაროვი



დეპარტამენტის უფროსი - მ.შ.
მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტი